საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №1031
2024 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 4 იანვრის №967 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 4 იანვრის №967 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 05/01/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010320020.22.027.017455) დამტკიცებული წესის მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები პროფესიული საჯარო მოხელეები არიან.“.

მუხლი 2

ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლის წესის“ მე-5 მუხლის 2^1 პუნქტი გავრცელდეს 2024 წლის 30 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზედაც.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **ანრი ოხანაშვილი**